შეფასების სქემა პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნის გამოცდის წერის ნაწილისთვის. მაქსიმალური ქულა – 16. სიტყვების რაოდენობა მინიმუმ 180.

	შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან.	**ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა**	**ლექსიკური მარაგი**	**გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე.**
4 **ძალიან კარგი**	<u>ნაწერი ძალიან კარგია</u>; დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია.	ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომა იშვიათია.	გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.
3 **კარგი**	<u>ნაწერი კარგია;</u> პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი.	ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.	გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ეს აზრის გაგებას ხელს არ უშლის.
2 **საშუალო**	<u>ნაწერი საშუალო დონისაა</u>; დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად არასრული და/ან ბუნდოვანია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე. შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია.	ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება.	ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც ზოგ შემთხვევაში, აზრის გაგებას ხელს უშლის.
1 **საშუალოზე დაბალი**	<u>ნაწერი სუსტია</u>; საკითხი მხოლოდ გაკვრით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები გაუგებარია ან არ არის მოცემული.	ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული.	გამოყენებულია უაღრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა.	გრამატიკული შეცდომები ხშირია, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას.; გამოყენებულია უაღრესად მარტივი გრ. სტრუქტურები
0 **ცუდი**	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან: დაწერილია ერთი ან ორი წინადადება. მითითებულია სახელი და გვარი	ნაწერი სრულიად ალოგიკურია /არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია.	სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები.	გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება.